

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი № 2

ქ. ახმეტა

20 იანვარი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

გელა ჯუღაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

თ. წითელაური, ი.უჯირაული, ნ.დუბიანური
რ.ბადაკაშვილი, დ.მურთაზაშვილი,
ზ. გარსევანიძე, გ.უძილაური

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰სათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე გელა ჯუღაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს
გაცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. პეტიცია - (ალისგორი - წაროს მონაკვეთზე, მდინარე ალაზანზე (ე.წ., „გომეწრის ალაზანი“) ხიდის აშენების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოს აპარატში შემოსული ზ.ალვანის და ქვემო ალვანის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის (ამომრჩეველთა) პეტიცია - (ალისგორი - წაროს მონაკვეთზე, მდინარე ალაზანზე (ე.წ., „გომეწრის ალაზანი“) ხიდის აშენების შესახებ.



სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა ბიუროს წევრებს, რომ კანონის თანახმად, ბიურომ შეიძლება აღნიშნული საკითხი გადაუგზავნოს შესწავლისათვის ან, საკრებულოს შესაბამის კომისიას, ან გამგებელს.

ბიურომ იმსჯელა აღნიშნული საკითხის ირგვლივ და რადგან, ამ საკითხის განხორციელება წარმოადგენს გამგეობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივას, მიიღო გადაწყვეტილება: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის მე-11 პუნქტის, „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 29 ივლისის №19 დადგენილების 94-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, პეტიცია განსახილველად გადაეგზავნოს გამგებელს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის გასვლას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

ბიუროს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს რაიმე წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11²⁵ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



ბელა ჯუგაშვილი